ნინო სამინავა *

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოკრატიის დონის შეფასება საერთაშორისო რეიტინგებში (2019-2020)

შესავალი

საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს წარმოადგენენ და დემოკრატიის მშენებლობას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. სამივე სახელმწიფოს კონსტიტუციით მათ სურთ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. მოცემულ ნაშრომში მიმოვიხილავთ თუ რამდენად კარგად ახერხებენ ისინი იარსებონ დამოუკიდებლად დემოკრატიული პრინციპებით და დაიცვან საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ყურადღება გამახვილებულია 2019-2020 წლებში მიმდინარე მოვლენებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების შესახებ.

სომხეთის დემოკრატიულობის ხარისხი 2019-2020 წლებში

სომხეთმა 1991 წლის 21 სექტემბერს დამოუკიდებლობა მოიპოვა რეფერენდუმის საფუძველზე და ასპარესზე გამოვიდა, როგორც სუვერენული სახელმწიფო. 1995 წლის 5 ივლისს კი მიიღეს ახალი კონსტიტუცია სომხეთის დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. სომხეთმა თავისი კონსტიტუციით გამოხატა სურვილი განვითარდეს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო. სომხეთში 2005 წლის 27 ნოემბერს რეფერენდუმის საფუძველზე მიიღეს კონსტიტუციის შესწორებები. კიდევ ერთი და ძირეული ცვლილება განხორციელდა 2015 წლის 6 დეკემბრის საკონსტიტუციო რეფერენ-

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სპეციალობის მაგისტრანტი.

დუმით, რომლითაც სომხეთი ნახევრად საპრეზიდენტო მართველობიდან საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაიქმნა. ეს ნაბიჯი გარკვეულმა ჯგუფებმა შეაფასა, როგორც სარგსიანის მცდელობა ხელისუფლებაში დარჩენილიყო მას შემდეგ რაც 2018 წლის თებერვალში ამოიწურებოდა მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა. 2018 წლის 2 მარტს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, თუმცა ვინაიდან საპარლამენტო მოდელზე იყო ამ დროისათვის გადასული, პრეზიდენტი აირჩია ეროვნულმა კრებამ. არმენ სარქისიანი იყო ერთადერთი პრეზიდენტობის კანდიდატი. აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ეროვნული კრება აირჩევა 5 წლის ვადით, პროპორციული სისტემით და შედგება მინიმუმ 101 დეპუტატისგან. უნდა ითქვას ისიც, რომ 2018 წლის აპრილ-მაისში სომხეთში ხავერდოვანი რევოლუცია მიმდინარეობდა, საპროტესტო ტალღა კი კიდევ უფრო გაამწვავა 17 აპრილის სარგსიანის პრემიერ-მინისტრად არჩევამ პარლამენტის მიერ. იგი მალევე გადადგა და საბოლოოდ 8 მაისს პარლამენტმა ნიკოლ ფაშინიანი აირჩია პრემიერ-მინისტრად. ფაშინიანის არჩევა და მისი ხედვები მიმართულია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ და იგი მაქსიმალურად ცდილობდა დასავლური პოლიტიკის გატარებას, მან განაცხადა რომ შეინარჩუნებს კარგ ურთიერთობებს და ყველა ხელშეკრულებას დასავლეთთანაც და რუსეთთანაც და დარჩება ევრაზიულ კავშირშიც. (Carroll, 2018)

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს, კერძოდ 2018 წლიდან 2019 წლამდე გაუმჯობესდა დემოკრატიის ინდექსის მაჩვენებელი. დემოკრატიაზე საუბრისას მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ შემდეგი კრიტერიუმები: თავისუფალი და თანასწორი არჩევნები, პოლიტიკური პლურალიზმი და მონაწილეობა, ხელისუფლების ეფექტურობა, მოქალაქის უფლებები, კანონის უზენაესობა(rul of law) სასამართლოს დამოუკიდებლობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და უზრუნველყოფა, პრესის თავისუფლება.

2019 წლის მონაცემებით სომხეთში დემოკრატიულობის მაჩვენებელი წარმოადგენს 51/100 ქულას რაც გულისხმობს ნაწილობრივ თავისუფალ სახელმწიფოს. (https://freedomhouse.org, 2020)

2019 წლის მონაცემებს საფუძვლად ედო წინა წლის მოვლენები, კერძოდ, ხავერდოვანი რევოლუცია და ხელისუფლებაში ფაშინიანის მოსვლა. სარგისიანის გადადგომამ ხელი შეუწყო თავისუფალი და თანასწორი აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევნებს, 2018 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა, როგორც წარმატებული, ვინაიდან არ არსებოიბდა ამომრჩეველთა მოსყიდვა და ამომრჩეველზე ზეწოლა, უზრუნველყოფილი იყო შეჯიბრებითობის პრინციპი. ანგარიშში ასევე დადებითაა შეფასებული პოლიტიკური პლურალიზმის კრიტერიუმი, ვინაიდან გამარჯვებისთვის 11 პარტია იბრძდა.

დაბალი მაჩვენებელია დაფიქსირებული ხელისუფლების ფუნქციონირების კრიტერიუმში და ძირითადად აღნიშნულია, რომ არჩეული ხელისუფლება განიცდის გარე ძალების ზეწოლას, მაგალითად რუსეთის გავლენა სომხეთის სტრატეგიის დაგეგმვის საკითხში. ასევე, მნიშვნელოვნად მძიმე მდგომარეობაა კორუფციის კუთხით, პარლამენტის შემადგენლობაში არიან ქვეყნის უმდიდრესი ბიზნეს-ლიდერები, ისინი აგრძელებენ კერძო სამეწარმეო საქმიანობას მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტისა. ასევე დადასტურებულია პოლიტიკოსების კავშირი ოლიგარქებთან და მათი გავლენა საკანონმდებლო პროცესებზე. რაც შეეხება მედიის თავისუფლებას, სომხეთში არიან დამოუკიდებელი და თავისუფალი ჟურნალისტები, თუმცა ისინი ძირითადად ონლაინ პლათფორმებზე მოღვაწეობენ. არასამთავრობო ორგანიზაცია გამოხატვის უფლების დამცველი კომისია აცხადებს, რომ მოიმატა სამართლებრივმა დავებმა ჟურნალისტების წინააღმდეგ და 96 მათგანის წინააღმდეგ 2019 წელს საქმე აღიძრა ცილისწამების ბრალდებით. 2020 წელს კი აზერბაიჯან-სომხეთს შორის ომის დროს მთიანი ყარაბა-

ღისთვის, მიმდინარეობდა მედიაზე ზეწოლა, კერძოდ 81 შემთხვევა იქნა გამოვლენილი როდესაც დაირღვა ჟურნალისტების უფლებები (*khosq.am,* 2020)

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის აპრილში პრემიერ მინისტრი პაშინინანი მოუწოდებდა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებს, აღმოეფხვრათ სოციალურ მედიაში გავრცელებული ყალბი ახალი ამბები მთავრობის შესახებ. ოპოზიციამ და ომბუცმენმა გააფრთხილა იგი რომ ეს განცხადება ეწინააღმდეგებოდა გამოხატვის თავისუფლებას. საბოლოოდ კი სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა სოციალური მედიის მომხმარებლები, კერძოდ facebook-ის, რომლებმაც სოციალურ ქსელში გააკრიტიკეს ფაშინიანი. მოქალაქეების პირადი საუბრები დაცვის სფეროში ექცევა და აკრძალულია მოქალაქეთა ელოქტრონული საშუალებებით მოსმენა სასამართლოს ორდენის გარეშე. უზრუნველყოფილია შეკრების და ორგანიზაციის უფლება. სახელმწიფო არ აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ძირითადად ისინი დამოკიდებულნი არიან უცხოურ დონორებზე. ყველაზე დიდი პრობლემა უკავშირდება სასამართლო სისტემას, ვინაიდან იგი არ არის დამოუკიდებელი მუდმივად განიცდის პოლიტიკურ ზეგავლენას, ასევე ხშირია კორუფციისა და შერჩევითი სამართლის ფაქტები. მნიშვნელოვანი წინსვლაა ყოფილი პრეზიდენტის დაკავება ძალადობრივი მეთოდების გამოყენების გამო 2008 წლის პროტესტის დარბევისას, რასაც მოჰყვა სულ მცირე 10 ადამიანის სიკვდილი. სარგსიანსა და მის ძმას ბრალად დაედოთ ფინანსურ დანაშაულებში, თუმცა სარგსიანი არ დაუპატიმრებიათ და იგი გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს გადაუხადა 30 მილიონი დოლარი. ლევონ სარგსიანის მიმართაც აღიძრა საქმე, ეს ყოველივე კი მიუთითებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში წინგადადგმულ ნაბიჯს. (jam-news.net)

უნდა აღინიშნოს უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობაც, ლგბტ ადამიანების უფლებები არ არის სათანადოდ დაცული

და ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი პოლიციისა თუ მოქალაქეთა მხრიდან. მთავარი პრობლემა კი არის ის, რომ არ არსებობს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. ქალები მუდმივად არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი სამუშაო ადგილებზე და განათლების საკითხებში. ეკლესიის გავლენით სომხეთი არ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო. (freedomhouse.org, 2020)

აზერბაიჯანის დემოკრატიის ხარისხი 2019-2020 წლებში

კონსტიტუციის თანახმად, აზერბაიჯანი არის დემოკრატიული სახელმწიფო, თუმცა არსებული მდგომარეობა სრულიად საპირისპიროა. Freedom house-ის რეიტინგში აზერბაიჯანის დემოკრატიულობის მაჩვენებელი 10/100 წარმოადგენს. აზერბაიჯანი არის სუპერ-საპრეზიდენტო რესპუბლიკა და პრეზიდენტი აირჩევა 7 წლის ვადით, ასევე არ არსებობს მაქსიმალური დადგენილი ლიმიტი თუ რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე ადამიანი არჩეულ იქნეს პრეზიდენტად. ამჟამინდელი პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი, რომელმაც მამამისი ჩაანაცვლა, 2018 წელს აირჩიეს მეოთხე ვადით. ეუთოს სადამკვირვებლო მისია არჩევნებს აფასებს როგორც არადემოკრატიულს, ვინაიდან არ არსებობდა რეალური ოპოზიციური პარტია და კანდიდატები ღიად არც კი აკრიტიკებდნენ პრეზიდენტს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვიცე პრეზიდენტია მეჰრიბან ალიევა, პრეზიდენტის ცოლი. აზერბაიჯანის პარლამენტმა 2019 წლის 2 დეკემბერს თვითდათხოვნის გადაწყვეტილებას მხარი მას შემდეგ დაუჭირა, რაც პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მიერ წარმოდგენილი რეფორმების მხარდასაჭერად შესაბამისი ინიციატივით საკანონმდებლო ორგანოს მმართველმა პარტიამ „ახალმა აზერბაიჯანმა“ მიმართა. მილი-მეჯლისის დათხოვნის შემდეგ რამდენიმე პროვინციაში მაღალჩინოსნები და მათი შვილები დააპატიმრეს. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ პოსტებზე. ბოლო

ორი წლის განმავლობაში პრეზიდენტმა გაანთავისუფლა ყველა მინისტრი, რომლებიც პოსტებს ათეული წლების განმავლობაში იკავებდა. როგორც აღნიშნავენ, ეს ყველაფერი კლანებს შორის ბრძოლის კულმინაციაა: ყველა განთავისუფლებული მინისტრი, ადგილობრივი ხელისუფალნი და პარლამენტარები „მეხტიევის კლანიდან“ იყო. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე აზერბაიჯანში, რომელიც 2020 წლის 9 თებერვალს გაიმართა, ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიების კანდიდატებმა ვერ გაიმარჯვეს. საპროტესტო აქცია, შედეგების უკანონოდ აღიარების მოთხოვნით, პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა და დემონსტრანტების ნაწილი დააკავა. აზერბაიჯანის მმართველი პარტიის, “ენი აზერბაიჯანის” დეპუტატებმა მილი მეჯლისში ნახევარზე მეტი ადგილი დაიკავეს, დანარჩენი ადგილები კი – ე.წ. ნეიტრალური და უპარტიო დეპუტატებმა, რომლებიც აზერბაიჯანში ხელისუფლების ე.წ. სატელიტებად არიან ცნობილი. მეჰრიბან ალიევა ევროპული ღირებულებების მხარდამჭერია და საკუთარ გუნდში ახალგაზრდა ევროცენტრისტებს იწვევს. ოპოზიციური პარტია real-ის წარმომადგენლები, რომლებიც შევიდნენ პარლამენტში, სწორედ ასეთ ძალას წარმოადგენს. (netgazeti.ge)

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, ეუთოსა და ევროკავშირის, ისევე როგორც აშშ-ის დამკვირვებლებს აზერბაიჯანში დამოუკიდებლობის განმავლობაში ჩატარებული არც ერთი არჩევნები არ უღიარებიათ დემოკრატიულად; ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ნაწილი არ დაუშვეს არჩევნებზე დამკვირვებლად (osce.org)

Freedom House-ის შეფასებით საარჩევნო კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს. ავტოკრატიული სისტემა მოქალაქეებს ხელს უშლის შექმნან ოპოზიციური პარტიები, რეჟიმი ეფუძნება კორუფციულ პატრონაჟსა და კონტროლს თავდაცვის ძალებზე ასევე სასამართლო სისტემაზე ინარ-

ჩუნებს დომინანტ მდომარეობას. ვინაიდან პარლამენტი არ არის არჩეული დემოკრატიული არჩევნების პრინციპით, შესაბამისად პრეზიდენტის საქმიანობას იგი ვერანაირად ვერ შეამოწმებს/დაბალანსებს. აზერბაიჯანში მედია იმყოფება ხელისუფლების წნეხის ქვეშ, მუდმივად ილახება მედიის წარმომადგენელთა უფლებები, მათ ავიწროებენ და ხშირად ხდებიან ძალადობისა და დაშინების მსხვერპლნი. ასევე, 2017 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა მთავრობის გავლენა, რადგან კანონში შეიტანეს ცვლილებები და უკვე სასამართლოს ორდენის გარეშეც შესაძლებელია დაბლოკონ ონლაინ მედია საშუალებები თუ მიიჩნევენ რომ ინფორმაცია საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას. დამოუკიდებელი მედია საშუალებებზე მუდმივად ხორციელდება კიბერ-შეტევები. პოლიტიკური შეზღუდვების მსხვერპლი 2019 წელს გახდა რეპერი პასტერი, რომელმაც სიმღერაში ნეგატიური დამოკიდებულება გა მოხატა მეჰრიბან ალიევას ოჯახის კავშირებზე. რეპერი სცემეს, და 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს. (oc-media.org)

აზერბაიჯანის კანონმდებლობით ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულია. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ 2019 წლის მარტში პრეზიდენტმა 50-მდე ადამიანი შეიწყალა, მათ შორის იყვნენ ჟურნალისტები, ბლოგერები, ოპოზიციური პარტიის აქტივისტები და სხვები. შეწყალებულთა შორის იყო ბაირამ მამადოვი, ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობის აქტივისტი, იგი გათავისუფლებიდან ორი კვირის შემდეგ დააპატიმრეს მას შემდეგ რაც მედიას განუცხადა, რომ კვლავ აპირებდა პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობას. სასამართლომ მას 30 დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. ასევე, იგი სცემეს და 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდა ხელბორკილებით და ფეხებშეკრული იწვა იატაკზე. ადვოკატის განცდახებით აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები. გამოძება კი არაეფექტურად ჩატარდა.(https://www.hrw.org)

Human Rights Watch-ისა Amnesty International-ის ანგარიშებში ბევრ მსგავს საქმეს ვხვდებით. ხელისუფლებასთან დაკავშირებულია ადვოკატთა ასოციაციაც და რამდენიმე ადვოკატს ლიცენზიაც კი შეუჩერეს, რადგან მუშაობდნენ პოლიტიკური ნიშნით დევნილთა საქმეებზე. ინდივიდთა უფლებრივი მდგომარეობაც ქვედა ნიშნულს უტოლდება და სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათი რწმენის, შეხედულების, გამოხატვის, შეკრების, თანასწორობის, სექსუალური იდენტობის უფლებებს და მუდმივად იზღუდება მათი სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლება.

საქართველოს დემოკრატიის ხარისხი და გამოწვევები 2019 – 2020 წლებში

საქართველო შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას და საბოლოო შედეგები დაგვანახებს თუ რამდენად წარმატებულად მივიწევთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ. Freedom house-ის შეფასებით საქართველო ნაწილობრივ თავისუფალი სახელმწიფოა და მას 2020 წლის მონაცემებით 61/100 ქულა აქვს. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განმტკიცებულია დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი და აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიმატი შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით. ასევე, საქართველო წარმოადგენს ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელშემკვრელ სახელმწიფოს და ესწრაფვის ევროკავშირში გაერთიანებისკენ. შესაბამისად კანონმდებლობა მოწესრიგებულია თუმცა მისი დემოკრატიულ და თავისუფალ სახელმწიფოთა სიაში შეტანამდე კიდევ დიდი გზაა. საქართველოში ეფექტური მმართველობა არ ხორციელდება, ვინაიდან მთავრობის მუშაობაში არაფორმალურად მონაწილეობს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ამჟამინდელი პარტია ქართული ოცნების თავმჯდო-

მარე ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ახორციელებს კონტროლს აღ-მასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოზე. ქვეყანამ მნიშვნელო-ვან წარმატებას მიაღწია კორუფციასთან ბრძოლაში, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ნეპოტიზმი და ლობიზმი ხელისუფლების მხრი-დან. (https://freedomhouse.org, 2020)

მედია არის მრავალფეროვანი, თუმცა ძირითადად მთავრო-ბის მხარდამჭერი. დიდი დავის შემდეგ 2019 წლის ივლისში საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტი-ლება ტელევიზია ,,რუსთავი 2-ის“ მიმართ განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მიიჩნია, რომ გადაწყვე-ტილება კანონიერად იყო მიღებული. ტელევიზიის მესაკუთრემ, დაითხოვა რამდენიმე ჟურნალისტი და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ახალი, კრიტიკული, ოპოზიციის მხარდამჭერი ტელევიზია ,,მთა-ვარი არხი“. აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლის დეკემბერში სოციალურ ქსელ Facebook -ის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ათასობით ანგარიში გააუქმეს ვინაიდან ისინი მუდმივად ავრცე-ლებდნენ ოპოზიციის საწინააღმდეგო განცხადებებს და კომპანიის განცხადებით დაკავშირებული იყვნენ ქართულ სარეკლამო სააგენ-ტოსა და ხელისუფლებაში მყოფი პარტია ,,ქართლ ოცნებასთან“. კონსტიტუციით გარანტირებულია რელიგიის, გამოხატვის, შეკრე-ბის, მანიფესტაციის, პოლიტიკური და სოციალური უფლებები, თუმცა ხშირია მათი შეზღუდვის ფაქტებიც. ძირითადი კრიტიკა freedom house-ის ანგარიშში დაფიქსირებულია სასამართლო ხელი-სუფლებასთან მიმართებით. მიუხედავად რეფორმებისა აღმასრუ-ლებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გავლენას ახდენს სა-სამართლო ხელისუფლებაზე და სასამართლო გადაწყვეტილებები პრობლემურია გამჭირვალობისა და პროფესიონალიზმის კუთხით. 2019 წლის დეკემბერში მიუხედავად დიდი ოპოზიციური წინა-აღმდეგობისა პარლამენტმა 14 მოსამართლე დანიშნეს უზენაესი სა-სამართლოს მოსამართლეებად. ევროპის საბჭო და სხვა ინსტი-

ტუციები აკრიტიკებდნენ გადაწყვეტილებას, ვინაიდან პრობლემური იყო კანდიდატთა იურიდიული ცოდნა და მიუკერძოებლობა.

პირველ რიგში, უნდა მიმოვიხილოთ 2019 წლის ივლისის მოვლენები, როგორც საწყისი წერტილი ცვლილებებისკენ. 2019 წლის 20 ივნისს თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიის დროს რუსეთის დუმის დეპუტატმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის სკამი დაიკავა, ასევე ასამბლეა რუსულ ენაზე გაიმართა. ამ ყოველივეს კი მოქალაქეთა პროტესტი მოჰყვა. ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის მხრიდან პარლამენტისა და სტრატეგიული ობიექტების დაკავების რიტორიკამ სიტუაციის დამატებითი ესკალაცია გამოიწვია. აქციის მონაწილეების ნაწილის მხრიდან პარლამენტში ძალით შესვლის მცდელობამ და პოლიციასთან ძალისმიერმა დაპირისპირებამ სამართალდამცავებს მანიფესტაციის უფლებაში მართლზომიერი ჩარევის საფუძველი გაუჩინა. სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ იყო გამოყენებული არაპროპორციული საპოლიციო ძალა და ისინი რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი აირის საშუალებით დაარბიეს. შედეგად სამართალდამცავების მოქმედება გასცდა კანონის ფარგლებს. საქართველოს კანონმდებლობის მკაფიო მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის გასაგები ფორმით არ გაკეთებულა გაფრთხილება აქციის შეწყვეტის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ძალის გამოყენების შესახებ. ამასთან, არსებითად პრობლემური იყო გამოყენებული სპეციალური საშუალებები, ისევე როგორც მათი ინტენსივობა, ფორმა და მიზანი. როგორც გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რიგ შემთხვევაში რეზინის ტყვიები გამოიყენებოდა სახის და თავის არეში დამიზნებით, მცირე დისტანციიდან, რაც ტოვებდა განცდას, რომ მსგავსი ქმედების მიზანი დემონსტრანტების დასახიჩრება და არა აქციის დაშლა იყო. (www.transparency.ge, 2019)

საპროტესტო ტალღის შედეგად 21 ივნისს თანამდებობა დატოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ, ხოლო ასამბლეის საქართველოში ჩატარების ინიციატორმა. საპროტესტო აქციები გაგრძელდა და მთავარ მოთხოვნას შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა და საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება იყო. მიუხედავად დაპირებისა, რომ 2020 წლის არჩევნები ჩატარდებოდა სრულად პროპორციული სისტემით ნოემბრის თვეში, პარლამენტმა ინიციატივას მხარი არ დაუჭრა. ხოლო 2019 წლის სექტემბერში გიორგი გახარია პრემიერ მინისტრი გახდა. 2020 წლის დასაწყისში სახელმწიფომ კორონა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, რასაც მოყვა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და შეზღუდვების დაწესება. ამ ყოველივემ კი ოპოზიციის აღშფოთება გამოიწვია და საბოლოოდ 8 მარტის შეთანხმება გაფორმდა. კონსენსუსის მიღწევის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის **კარლ ჰარცელის,** გერმანიის ელჩის ჰუბერტ ქნირშის, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის **კრისტიან ურსეს** და აშშ-ის მისიის მოადგილის, **ელიზაბეტ რუდის** წვლილი. შედეგად 2020 წლის არჩევნები ჩატარდებოდა 120 პროპორციულ და 30 მაჟორიტარული მოდელის თანახმად, დაწესდა 1%-იანი ბარიერი პროპორციული მანდატებისათვის. შეთანხმებას თან ახლავს მხარეების ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღიარებულია, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება უფრო ზოგადი მიზანია, იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია რეაგირება ქმედებებზე, რომლებიც შესაძლოა აღქმულ იქნეს როგორც სასამართლო და საარჩევნო პროცესების არასათანადო პოლიტიზაცია და მომავალში მსგავსი ქმედებები თავიდან უნდა იქნეს აცილებული. (https://ge.usembassy.gov, 2020)

მიღწეული შეთანხმება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო დემოკრატიის მშენებლობისთვის. ევროპარლამენტარ ანდრიუს კუბილიუსის განცხადებით, საქართველო ოქტომბრის არჩევნების სახით, ძალიან მნიშვნელოვან მომენტს უახლოვდება, რომელსაც „ევროკავშირში ყველა გულმოდგინებით დააკვირდება“. ოპოზიცია გაერთიანდა და ერთობლივი ძალებით დაიწყეს ბრძოლა გამარჯვებისთვის. საქართველოში არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა, რომლის შედეგები განხილვის საგნად იქცა და მისი ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა. არჩევნებს არასამთავრობო ორგანიზაციები ,,ყველაზე ნაკლებ დემოკრატიულად მოიხსენიებენ.“ (https://idfi.ge/ , 2020)

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს საკმაოდ რთული გზა აქვს გასავლელი თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამდე. დღევანდელი მდგომარეობით საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგში საქართველო და სომხეთი საკმაოდ წარმატებულად ვითარდება, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით აზერბაიჯანის შესახებ, ვინაიდან უამრავ კრიტერიუმში სახელმწიფოს მართვის მოდელი დემოკრატიული პრინციპების სრულებით საწინააღმდეგოა.

ლიტერატურის სია

https://freedomhouse.org/country/armenia/freedom-world/2019

https://freedomhouse.org/country/azerbaijan/freedom-world/2020

https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020

https://www.bbc.com/news/world-europe-43948181

https://en.wikipedia.org/wiki/2018_Armenian_parliamentary_election

https://khosq.am/en/reports/quarterly-report-of-cpfe-on-situation-with-freedom-of-expression-and-violations-of-rights-of-journalists-and-media-in-armenia-july-september-2020/

https://jam-news.net/former-ousted-armenian-president-charged-with-embezzling-more-than-1-mln/

https://en.wikipedia.org/wiki/2020_Nagorno-Karabakh_ceasefire_agreement

https://pia.ge/ka/news/conflicts/somkhet-azerbaijanis-konphlikti---uakhlesi-ambebi/

https://www.rferl.org/a/protests-demanding-prime-ministers-resignation-continue-in-armenia/30953419.html

https://en.armradio.am/2020/11/16/resignation-not-on-prime-ministers-agenda/

https://pia.ge/ka/news/conflicts/somkhet-azerbaijanis-konphlikti---uakhlesi-ambebi/

https://netgazeti.ge/news/426808/

https://www.radiotavisupleba.ge/

https://www.osce.org/odihr/elections/azerbaijan/442933

https://freedomhouse.org/country/azerbaijan/freedom-world/2020

https://www.hrw.org/world-report/2020/country-chapters/azerbaijan

https://www.transparency.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-20-ivniss-ganvitarebul-movlenebze

https://netgazeti.ge/news/405122/

https://ge.usembassy.gov/ka/statement-of-the-political-dialog-facilitators-on-agreement-march-8-ka/

https://www.interpressnews.ge/ka/article/622063-andrius-kubiliusi-sakartvelos-premierma-evrokavshiris-liderebisgan-moismina-mesijebi-rom-demokratia-da-kanonis-uzenaesoba-umnishvnelovanesia-imedi-makvs-natel-magalits-vixilavt-rom-kartuli-demokratia-ukan-ar-midis/

https://idfi.ge/ge/ngos_assessment_of_the_2020_parliamentary_elections

http://www.democracyresearch.org/geo/452